1 მაისიდან - 1 მაისამდე (2016-2017)

დასაქმებულთა პროტესტები
და სახელმწიფოს ნაბიჯები

EMC

1 მაისიდან – 1 მაისამდე (2016–2017)

ფეროში მუშათა გაფიცვის ჩაშლა / **მაისი, 2016**

11 თვიანი უშედეგო მედიაციისა და მოლაპარაკების შემდეგ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებმა 9 მაისისთვის უვადო გაფიცვა გამოაცხადეს, რომელიც საბოლოოდ ვერ შედგა. გაფიცვის ჩაშლა ორგანიზატორების თქმით, ადმინისტრაციის მხრიდან მუშებზე უწყვეტმა შანტაჟმა და დაშინების სისტემურმა მცდელობებმა განაპირობა.

ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში მუშებს მძიმე, მავნე და საშიშ პირობებში უწევთ შრომა. მათი ანაზღაურება არასათანადოა, ხოლო შრომის პირობები მძიმე.

ზვარელი მუშების გაფიცვა / **აგვისტო - სექტემბერი, 2016**

“საქართველოს რკინიგზის” კონტრაქტორი ჩინური კომპანია “ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო”-ს მიერ, სოფელ ზვარეში სარკინიგზო გვირაბის მშენებლობის სამუშაოებზე დასაქმებულმა 100-მდე მუშამ შრომით პირობებთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა, რასაც ორი დასაქმებულის განთავისუფლება მოჰყვა. მუშები აპროტესტებდნენ მძიმე სამუშაო გარემოს, უსაფრთხოების ნორმების უგულვებელყოფას და შრომის კოდექსთან შეუსაბამო შრომითი ხელშეკრულების პირობებს.

15 დღიანი პროტესტი ახალი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა, რომელმაც კვირაში 6 დღიანი სამუშაო გრაფიკი, ზეგანაკვეთურის შრომის ანაზღაურება, ანაზღაურებადი შვებულებებით სარგებლობის უფლება და სხვა ბაზისური საკითხები მოიცვა.

მშრომელთა დაღუპვა, აქცია – შრომის პოლიტიკა გადასახედია / **ოქტომბერი, 2016**

საწარმოო ინციდენტების განსაკუთრებით მაღალმა სტატისტიკამ და ოქტომბრის თვეში მშრომელთა გახშირებულმა დაშავება-დაღუპვის შემთხვევებმა საზოგადოების მწვავე რეაქციები და პროტესტი გამოიწვია. სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და პროფესიული კავშირები გაერთიანდნენ შემდეგი მოთხოვნების ირგვლივ: შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვა, შრომის პირობებისა და უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება, ქმედითი შრომის ინსპექციის დანერგვა. მოთხოვნების მთავარ ადრესატს სახელმწიფო წარმოადგენდა, რომელიც ჩაურევლობის პოლიტიკიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს ღირსეული და უსაფრთხო შრომისთვის საჭირო პირობების გარანტირებას და საწარმოო შემთხვევების პრევენციას.

ზვარელი მუშების და ადმინისტრაციის დაპირისპირება / **ნოემბერი, 2016**

ხელახალი პროტესტი ხარაგაულის სოფელ ზვარეში სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე 3 ნოემბერს მას შემდეგ დაიწყო, რაც ჩინური კომპანიის წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობას და მუშებს ფიზიკურად გაუსწორდნენ (მუშები საუბრობდნენ არმატურით, დანით, ხის ჯოხებითა და ხორცის საკეპი ნაჯახებით ცემაზე). აღნიშნულ ფაქტს ფართომასშტაბიანი პროტესტები მოჰყვა. მუშებს სოლიდარობას უცხადებდნენ და მხარდასაჭერ აქციას მართავდნენ სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფები, პროფკავშირები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მასიური საპროტესტო აქციების შედეგად, მუშების მთავარი მოთხოვნა “ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს” მენეჯმენტის შეცვლა დაკმაყოფილდა.

რეორგანიზაცია საჯარო სამსახურში / **ნოემბერი - თებერვალი, 2016 - 2017**

2016 წლის ბოლოს დაიწყო საჯარო სამსახურის რეორგანიზაციის მასობრივი პროცესი საქართველოს მთავრობაში, რასაც თან ახლდა შტატების შემცირება. რეორგანიზაცია განხორციელდა 8 სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფ 25 დაწესებულებაში. 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის თებერვლამდე პერიოდში შრომითი ურთიერთობა კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საფუძვლით შეწყდა 5212 დასაქმებულთან. ხოლო საჯარო სამსახურში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, რომელსაც თან სდევდა შტატების შემცირება, სამსახურიდან სულ გათავისუფლდა 1711 თანამშრომელი.
დამატებით, 2016 წლის მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლდა 2337 დასაქმებული.

რუსთავის აზოტის მუშების გათავისუფლება და საპასუხო პროტესტი / **იანვარი - თებერვალი 2017**

"რუსთავის აზოტის" ქარხნის ახალი მფლობელის ხელში გადასვლის შემდეგ, საწარმოს 350 თანამშრომელი ზეპირი განცხადების საფუძველზე გაუფრთხილებელად გაათავისუფლეს, რასაც მუშების აქციები მოჰყვა. საპროტესტო გამოსვლებს აზოტის მუშებთან ერთად პროფკავშირები ხელმძღვანელობდა, ხოლო სოლიდარობის გამოხატვის მიზნით აქციებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საწარმოებში დასაქმებული მუშები, აქტივისტური ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მას შემდეგ, რაც აქციის მონაწილეთა ნაწილმა რადიკალურ ზომებს მიმართა და საწარმოს ადმინისტრაციის შენობაში შეიჭრა, სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის შეტაკება მოხდა.
აქციების შედეგად საწარმოს ხელმძღვანელობამ მუშებს გათავისუფლების კომპენსაციას – 3 თვის განმავლობაში 500 ლარის ანაზღაურებას შეჰპირდა. მშრომელთა ნაწილი ამ პირობას არ დათანხმდა და სასამართლოს განაცდური დღეების ანაზღაურების და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით მიმართა.

ბიბლუსი / **თებერვალი, 2017**

წიგნის მაღაზია „ბიბლუსი გალერიში“ დასაქმებული თანამშრომლების ნაწილმა გაავრცელა აუდიო და წერილობითი განცხადება, სადაც ისინი მძიმე და არანორმირებულ სამუშაო გრაფიკზე, დაბალ ანაზღაურებაზე, შრომით ექსპლუატაციაზე და დაჯარიმების უსამართლო პრაქტიკაზე საუბრობდნენ. აღნიშნულ განცხადებას წინ უძღოდა ორი თანამშრომლის გათავისუფლება. შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ასევე ორი თანამშრომლის გათავისუფლებით დასრულდა. დასაქმებულთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოების და აქტივისტური ჯგუფების მხრიდან. „ბიბლუსი გალერის“ გათავისუფლებულმა თანამშრომლებმა უფლებების აღდგენის მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. ასევე სასამართლოშია საქმე ვიდეო მიმართვაში მონაწილე პირების წინააღმდეგ, სადაც კომპანია „ბიბლუსი“ ცილისწამებით საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის დავობს და გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას მოითხოვს.

ფრესკო / **თებერვალი, 2017**

სუპერმარკეტ „ფრესკოს“ თანამშრომლების ნაწილმა გაავრცელა განცხადება, სადაც მათ „ფრესკოში“ არსებულ შრომის პირობებს "თანამედროვე მონობა" უწოდეს. განცხადებაში საუბარი იყო კვირაში 60 საათიან სამუშაო გრაფიკზე, ხელფასების დაქვითვის უკანონო პრაქტიკაზე და თანამშრომლებზე ზეწოლის ფაქტებზე. აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურნენ როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. აქტივისტურმა ჯგუფებმა სოლიდარობის აქციები გამართეს და გავრცელებულ ინფორმაციაზე სახელმწიფოსგან სწრაფი რეაგირება მოითხოვეს. “ფრესკოს“ ყოფილ თანამშრომელთა ნაწილი დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო დავას აწარმოებს.

ბავშვთა სამყარო / **იანვარი - თებერვალი - მარტი, 2017**

სავაჭრო ობიექტის "ბავშვთა სამყაროს" დაწვის შედეგად, 345 მოვაჭრე დაზარალდა, რასაც სისტემატური აქციები მოჰყვა მოვაჭრეების მხრიდან. დაზარალებულებმა უარი განაცხადეს საკრებულოს შეთავაზებულ 3000 ლარიან კომპენსაციაზე. მათი მოთხოვნა იყო ზარალის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით და დაზარალებული სტატუსის მინიჭება, რათა საბანკო ვალდებულებებისგან განთავისუფლებულიყვნენ. მოვაჭრეებმა რამდენიმე აქცია გამართეს და შიმშილობის დაწყების მცდელობაც ჰქონდათ. მათი ნაწილი დღემდე აგრძელებს პროტესტს (9 მაისს ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან მჯდომარე აქცია დაიწყეს).

გარემოვაჭრეები / **მარტი - აპრილი, 2017**

მარტის თვეში თბილისის მერიამ გარემოვაჭრეების სავაჭრო ობიექტების აღება და მათი საჯარო სივრცეებიდან გაყვანა დაიწყო შემდეგი ტერიტორიებიდან: მეტრო მარჯანიშვილი, კოლმეურნეობის მოედანი, ორთაჭალა, ისნის მეტრო, ახმეტელის მეტრო, დელისისა და ნავთლუღის გარე ვაჭრობის ბაზრობები. მერიამ მთავარ მიზეზად ქალაქის ქუჩების გასუფთავება, სანიტარული ნორმების დაცვა და არაკანონიერი გარემოვაჭრეობის პრაქტიკის რეგულირება დაასახელა. გარემოვაჭრეებს მობილიზების და წინააღმდეგობის გამოხატვის არაერთი მცდელობა ჰქონდათ, თუმცა ეს მცდელობები ვერ გადაიზარდა ფათომასშტაბიან პროტესტში.

სახელმწიფოს ნაბიჯები

იძულებითი შრომა და შრომითი ექსპლუატაცია / **მარტი, 2016**

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მანდატს დაემატა მნიშვნელოვანი კომპონენტი დასაქმების ადგილებზე შრომითი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის შემოწმების კუთხით, რაც გულისხმობს ამგვარი შეტყობინების შემთხვევაში დამსაქმებლის თანხმობის გარეშე სამუშაო ადგილზე დაშვების უფლებამოსილებას. ამ მანდატის ფარგლებში, დეპარტამენტის რეაგირების ერთადერთი ფორმა საგამოძიებო ორგანოებისადმი მიმართვაა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემოწმების შედეგად, დასაქმების ადგილზე ტრეფიკინგის ნიშნები გამოვლინდა.

„შრომითი ექსპლუატაციის“ შემოწმების მანდატის განსაზღვრის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს „შრომითი ექსპლუატაციის“ ცნების სამართლებრივ შინაარსს, რაც შემოწმების ამ წესის ეფექტიანობას და ქმედითობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

შრომის ინსპექტირების მექანიზმი / **დეკემბერი, 2016**

საქართველოს შრომის ინსპექტირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის ვალდებულება საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგით ეკისრებოდა. სახელმწიფო ვალდებულებას იღებდა რომ 2016 წლის ბოლომდე შექმნიდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტების შესაბამის, სათანადო მანდატით აღჭურვილ შრომის ზედამხედველობის მექანიზმს.

ვალდებულების სიცხადის მიუხედავად, მისი შესრულება საქართველოს მხრიდან არ მომხდარა. დღეს მოქმედი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი მნიშვნელოვნად ჩამორჩება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, არ წარმოადგენს შრომის პირობების საზედამხედველო მექანიზმს და მისი ფუნქცია დამსაქმებლებისთვის, მათივე სურვილის შემთხვევაში, რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება.

ევროპის სოციალური ქარტია / **დეკემბერი, 2016**

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულების მიუხედავად,

2016 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში არ მომხდარა ევროპის სოციალური ქარტიის რიგი მუხლების რატიფიცირების საკითხის ინიცირება. ეს ვალდებულება ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიხედვით სწორედ 2016 წელს უნდა შეესრულებინა.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

მისამართი: ი.აბაშიძის 12ა
თბილისი, საქართველო
ტელ: 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
www.facebook.com/IHTSEMC